ბრძანება N#19-009

გამოცდილების მქონე პირების სასერთიფიკაციო გამოცდაზე დაშვების საფუძველი

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების აკრედიტაციის ბრძანების საფუძველზე მტკიცდება მინიმუმ 3 წლიანი შრომის უსაფრთხოების სფეროში გამოცდილების მქონე პირებისთვის სასერთიფიკაციო გამოცდაზე დაშვებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა.

იმ პირებმა, რომლებსაც გააჩნიათ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ სფეროში გამოცდაზე დასაშვებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი აღნიშნულ სფეროში გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, კონტრაქტი, დახასიათება და დამქირავებლის საკონტაქტო ინფორმაცია) დოკუმენტით უნდა დასტურდებოდეს შემდეგი:

- მუშაობის პერიოდი
- თანამდებობა
- მოვალეობები

სერთიფიცირების მსურველ კანდიდატმა სრულად უნდა ჩააბაროს სასერთიფიკაციო ცოდნის და უნარების გამოცდები რისთვისაც მას მიეთითება სახელმძღვანელო დოკუმენტების ჩამონათვალი.

კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს განათლების დამადასტურებელი მოწმობა (დიპლომი ან სერთიფიკატი) და პირადობის ასლი.

დავით მაზმიშვილი
დირექტორი
უსაფრთხოების აკადემია

Vazha-Pshavela Av. N71, Tbilisi, Georgia / T: + 599 322-422-701 / Cell: +599 577-044-801
SafetyAcademia@gmail.com; www.SafetyAcademia.com